**სააქციო საზოგადაობა „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“**
**აქციონერთა წლიური საერთო კრების**
**ოქმი №1/2019**

ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. №14
ჩატარების თარიღი: 2019 წლის 31 მაისი
კრების დაწყების დრო: 17 საათი 00 წუთი

სააღრიცხვო თარიღი: 2019 წლის 8 მაისი.
ბანკის აქციონერთა წლიური საერთო კრების მოწვევის შესახებ 2019 წლის 10 მაისს შეტყობინება გამოქვეყნდა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“, საიტზე www.matsne.gov.ge.

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ აქციონერთა წლიურ საერთო კრებას გააჩნია უფლებამოსილება, ვინაიდან დარეგისტრირებულია და კრებას ესწრება აქციონერი, რომელსაც ხმის უფლების მქონე აქციათა 97.384322 % ეკუთვნის. კვორუმი შედგა.

ბანკის წესდების 5.8 პუნქტის თანახმად, ბანკის აქციონერთა წლიურ საერთო კრებას თავმჯდომარეობდა სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი არჩილ რესანის ძე კონცელიძე.

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ აქციონერთა წლიურ საერთო კრებას ესწრებიან მოწვეული პირები, კერძოდ:

ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი.
სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ აქციონერთა წლიური საერთო კრების მდივნად არჩეულ იქნას ლენა ბესიკის ასული ბაკურაძე.

**7. დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით „სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ მიერ 2017 და 2018 წლებში მიღებული მოგების განაწილებისა და დივიდენდების გადახდის შესახებ“**

**მოისმინეს:** სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ ფინანსური დირექტორის მ.ვ. მენთეშაშვილის ინფორმაცია სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ მიერ 2017 და 2018 წლებში მიღებული მოგების განაწილებისა და დივიდენდების გადახდის შესახებ, სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ წესდების 5.10 პუნქტის «ი» ქვეპუნქტის შესაბამისად.

**კენჭისყრაზე დასმული საკითხის გადაწყვეტილების პროექტი:**
საქართველოს ეროვნული ბანკის პრუდენციული სავალდებულო ნორმატივების შესრულების აუცილებლობიდან გამომდინარე, ბანკის 2017 წლის შედეგების მიხედვით მიღებული მოგება 23 450 147 (ოცდასამი მილიონ ოთხას ორმოცდაათი ათას ას ორმოცდაშვიდი) ლარის ოდენობით და 2018 წლის შედეგების მიხედვით მიღებული მოგება 30 734 954 (ოცდაათი მილიონ შვიდას ოცდათოთხმეტი ათას ცხრაას ორმოცდათოთხმეტი) ლარის ოდენობით არ განაწილდეს და დივიდენდები არ გაიცეს.

**კენჭისყრის შედეგები:**

მხარი დაუჭირეს – 203 541 293 ხმა, რაც ხმის უფლების მქონე აქციათა საერთო რაოდენობის 97.384322 % შეადგენს;
წინააღმდეგ მისცეს ხმა – არა;
თავი შეიკავეს – არა.

**გადაწყვეტილება მიღებულია.**

**დაადგინეს:**

საქართველოს ეროვნული ბანკის პრუდენციული სავალდებულო ნორმატივების შესრულების აუცილებლობიდან გამომდინარე, ბანკის 2017 წლის შედეგების მიხედვით მიღებული მოგება 23 450 147 (ოცდასამი მილიონ ოთხას ორმოცდაათი ათას ას ორმოცდაშვიდი) ლარის ოდენობით და 2018 წლის შედეგების მიხედვით მიღებული მოგება 30 734 954 (ოცდაათი მილიონ შვიდას ოცდათოთხმეტი ათას ცხრაას ორმოცდათოთხმეტი) ლარის ოდენობით არ განაწილდეს და დივიდენდები არ გაიცეს.

| | | |
|---|---|---|
| ბანკის აქციონერთა წლიური<br>საერთო კრების თავმჯდომარე | ხელმოწერილია | ა. რ. კონცელიძე |
| ბანკის აქციონერთა წლიური<br>საერთო კრების მდივანი | ხელმოწერილია | ლ. ბ. ბაკურაძე |
| მთარგმნელი | ხელმოწერილია | ლ. ბ. ბაკურაძე |
| ნოტარიუსი | ხელმოწერილია | ნარგიზა ჯანხოთელი |